



პროექტს ახორციელებს
საქართველოს სტრატეგიული
კვლევების და განვითარების ცენტრი



პროექტს აფინანსებს
ევროკავშირი

**მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამა
„მომხმარებელი-ჯი“**

**ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი
მომხმარებელთა უფლებებზე**

1. შესავალი

არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ 2014 წლის ბოლოს, მომხმარებელი-ჯი პროგრამის ფარგლებში დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა ქართველ მომხმარებლებზე და მათი ცნობიერების ამაღლება“ (Raising Awareness of local actors on Association Agreement Implications for Georgian Consumers) განხორციელება. პროექტის მიზანია საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რა ზეგავლენას მოახდენს ასოცირების ხელშეკრულების შესრულება ქართველ მომხმარებელზე. პროექტით გათვალისწინებულია ტრენინგები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, რეგიონული მედია საშუალებებისთვის და სკოლის პედაგოგებისთვის; კონკურსები მედიისთვის და სკოლის მოსწავლეებისთვის; მცირე გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

2. ინფორმაცია კონკურსის შესახებ

აღნიშნული პროექტის ფარგლებში "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი" იწვევს ჟურნალისტებს და მედია-ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსში **მომხმარებელთა უფლებებზე**.

კონკურსის მიზანი

საგრანტო კონკურსის მიზანია საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის ინფორმირება მომხმარებელთა ინტერესებსა და უფლებებზე, მათი დაცვის საჭიროებაზე და საშუალებებზე, საქართველოში მათი დაცულობის მდგომარეობაზე, ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ზეგავლენის თაობაზე ამ ინტერესებსა და უფლებებზე.

კერძოდ, საკონკურსო მასალაში გაშუქებული უნდა იყოს საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ან ინტერესების შელახვის კონკრეტული შემთხვევა. განხილული იყოს ამ დარღვევის შესაძლო მიზეზები, შედეგები, აღმოფხვრის გზები/საშუალებები. სასურველია აგრეთვე გაშუქდეს საზოგადოების დამოკიდებულება და მოლოდინები ასეთი დარღვევებისადმი და მათი აღმოფხვრის სხვადასხვა საშუალებებისადმი. სასურველია აგრეთვე გაშუქდეს, შეუწყობს თუ არა ხელს მდგომარეობის გაუმჯობესებას ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება.

მომხმარებელთა უფლებების თუ ინტერესების შელახვის შესაძლო სახეებია (ჩამონათვალი არ არის ამომწურავი):

- გასაყიდად გამოტანილი პროდუქცია/მომსახურება არ არის უვნებელი/უსაფრთხო;
- ამა თუ იმ მიზეზის გამო მომხმარებელს ეზღუდება პროდუქტის/მომსახურების ან მიმწოდებლის თავისუფალი არჩევანი.
- მომხმარებელს აწვდიან არასწორ, არასრულ, შეცდომაში შემყვან ინფორმაციას პროდუქციის/მომსახურების თაობაზე; ან სხვა მიზეზის გამო მომხმარებელს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია სწორი არჩევანის გასაკეთებლად (მაგ. გამოყენებულია აგრესიული მარკეტინგი);
- ბაზარზე იყიდება ფალსიფიცირებული პროდუქცია;
- მომხმარებელს მიჰყიდეს ნაკლის მქონე პროდუქცია/მომსახურება და უარი უთხრეს ნაკლის უფასოდ გამოსწორებაზე ან საქონლის/თანხის დაბრუნებაზე ან გაცვლაზე;
- ბაზარზე მოქმედებს კარტელური შეთანხმება ან მონოპოლისტი ბოროტად იყენებს თავის საბაზრო ძალაუფლებას.

დამატებითი მოთხოვნები

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ერთჯერადი ნამუშევარი (გადაცემა, რგოლი, სტატია, პოსტი) ასევე მათი ციკლი. ერთმა პირმა შეიძლება წარმოადგინოს რამდენიმე ნამუშევარი. ერთი და იგივე ნამუშევარი შეიძლება განხილული იქნას მხოლოდ ერთ ნომინაციაზე.

საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალა გამოქვეყნებული/გადაცემული უნდა იყოს 2015 წლის 15 ოქტომბრიდან 2016 წლის 30 მარტამდე. განიხილება მხოლოდ საქართველოს მედია-საშუალებებით გავრცელებული მასალა. უპირატესობა მიენიჭება ისეთ საშუალებებს, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს რეგიონების მოსახლეობისთვის.

კონკურსში მონაწილეობის უფლება

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ საქართველოს მოქალაქე ჟურნალისტს ან მედია-ორგანიზაციას, რომელიც საქართველოშია რეგისტრირებული. დაიშვება ჯგუფური ნამუშევრებიც.

კონკურსის ვადები:

ნამუშევარი კონკურზე წარდგენილი უნდა იყოს 2015 წლის 15 ოქტომბრის 10:00 საათიდან 2016 წლის 30 მარტის 18:00 საათამდე. დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.

ჯილდოები:

გამარჯვებული ნაშრომების ავტორებისთვის კონკურსით გათვალისწინებულია შემდეგი ჯილდოები¹:

- სატელევიზიო გადაცემა: 1 პრიზი, 2500 ევრო;
- რადიო-გადაცემა: 2 პრიზი, 700 ევრო თითოეული;
- ბეჭდური მედია-ნამუშევარი (საგაზეთო ან ჟურნალის სტატია, კომიქსი): 3 პრიზი, 300 ევრო თითოეული;
- ინტერნეტ მედია-ნამუშევარი: 3 პრიზი, 150 ევრო თითოეული.

3. საპროექტო განაცხადის წარდგენა

მედია-ნამუშევარი კონკურსზე განსახილველად შეუძლია წარადგინოს როგორც მის ავტორს, ასევე ნებისმიერ სხვა პირს (ავტორის თანხმობით).

ნამუშევრის საკონკურსოდ წარდგენა შესაძლებელია როგორც ელექტრონულად, ელ-ფოსტის საშუალებით, ისე საფოსტო ან საკურიერო გზავნილის სახით:

- ელექტრონული ფორმით განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ ელ-მისამართზე მისი გამოგზავნით: office@csrdg.ge . გზავნილის თემად მითითებული უნდა იყოს: „საკონკურსო მასალა“. გთხოვთ დაელოდოთ დადასტურებას იმის თაობაზე, რომ განაცხადი მიღებულია.
- ნაბეჭდი სახით განაცხადის წარსადგენად იგი უნდა გამოგზავნოთ ან მოიტანოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დელისის 1 შესახვევი 5ა, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, ტელ: (+995 32) 2399019/18, საკონტაქტო პირი: ნინო ქიტუაშვილი, მობილური ტელეფონი: 577760572. წარმოდგენილი პროექტი მოთავსებული უნდა იყოს დაბეჭდილ კონვერტში, მითითებით: „საკონკურსო მასალა“.

საკონკურსო ნამუშევარი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ან ბეჭდური სახით. მას თან უნდა ახლდეს შემდეგი ინფორმაცია:

- ნამუშევრის ავტორ(ებ)ი;
- პირი, რომლის საკუთრებას წარმოადგენს ნამუშევარი;
- ავტორის და მესაკუთრის საკონტაქტო მონაცემები;
- ნამუშევრის გამოქვეყნების დრო და მედია-საშუალება(ები), რომელშიც გამოქვეყნდა.
- ნომინაცია, რომელზეც წარმოდგენილია ნამუშევარი.

¹ მითითებულია დარიცხული თანხები. ჯილდოები გაიცემა ლარში, 2016 წლის მაისის თვის ოფიციალური ევროკავშირის კურსის შესაბამისად, და დაიბეგრება კანონმდებლობის შესაბამისად.

უცხოურ ან საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე წარმოდგენილ მასალას თან უნდა ახლდეს ქართული თარგმანი.

საკონკურსო განაცხადების შეფასება

საპროექტო განაცხადებს განიხილავს და ქვემოთ მითითებული კრიტერიუმების საფუძველზე შეაფასებს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია. გამარჯვებულები გამოვლინდება 2016 წლის აპრილის ბოლომდე. ჯილდოების გადაცემა მოხდება 2016 წლის მაისში.

თითოეული ნამუშევარი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. რამდენად აქტუალურია შერჩეული თემა/საკითხ(ებ)ი²;
2. რამდენად სიღრმისეულად არის გამოკვლეული/განხილული საკითხი;
3. რამდენად გასაგებია, საინტერესოა, მიმზიდველია ნამუშევარი მსმენელის ან მკითხველითვის;
4. დაცულია თუ არა ჟურნალისტიკის სტანდარტები და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში გაცხადებული პრინციპები ;
5. რამდენად ორიგინალურია, კრეატიულია, ფასეულია ნამუშევარი შემოქმედებითი თვალსაზრისით.

4. დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტებისთვის

კითხვებზე პასუხი

შესაძლო კითხვები კონკურსის მონაწილეებმა უნდა გამოგზავნონ მისამართზე liatodua@csrdg.ge. ყველა კითხვა და პასუხი დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე www.momxmarebeli.ge.

ინფორმაცია საგრანტო კონკურსის განმახორციელებელი ორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ საზოგადოებრივი, არამომგებიანი, არაპოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს შეიქმნა და გააჩნია სამოქალაქო სექტორში წარმატებული მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. ცენტრი წლების განმავლობაში ეფექტურად საქმიანობს ქვეყნის განვითარებისთვის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა, გარემოს დაცვა, დეცენტრალიზაცია, მომხმარებელთა უფლებები, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური მეწარმეობა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.csrdg.ge; www.momxmarebeli.ge

² იგულისხმება აქტუალობა იმ სამიზნე ჯგუფისთვის, რომელზეც მიმართულია მედია-საშუალება, სადაც გამოქვეყნდა/გაშუქდა მედია-ნამუშევარი.